მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №6(140) 2017 წ. 16-31 მარტი ფასი 50 თეთრი

გამგებელი – წინა წლების ანგარიშით

განეულია მნიშვნელოვანი მუშაობა 2017 წლის გამოწვევები მიღებულია

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი **გიორგი გზირიშვილი** 15 მარტს კახეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეების ირაკლი შიოშვილის, გივი მეტრეველის, საკრებულოს თავმჯდომარის ფრიდონ ბურდულის, საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის რომან მუჩიაშვილის და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლების წინაშე 2014-2016 წლებში მუნიციპალიტეტში გაწეული მუშაობის ანგარიშით წარსდგა. – „გასულ წლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდი თანხები ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას მოხმარდა. საკმაოდ დიდი თანხები დაიხარჯა წყლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოასფალტდა ისეთი ქუჩები, სადაც ასფალტის საფარი არასოდეს არსებობდა.“ - განაცხადა გიორგი გზირიშვილმა.

როგორც მან აღნიშნა, ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე 2014 წელს სულ 3355.9 ათასი ლარი გაიხარჯა. აქედან, რეგიონული განვითარების ფონდიდან - 1.380.4 ლარი, “სოფლის მხარდაჭერის” პროგრამით – 821.2 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით 1144,3 ათასი ლარი. – 2015 წელს – 3215.6 ათასი ლარი, საიდანაც 1643.3 ლარი რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით იყო. 698.5 ლარი „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით – ხოლო 873,8 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან იყო გამოყოფილი.

2016 წელს მუნიციპალიტეტში 38805 ათასი ლარის ინფრასტრუქტურის სამუშაოები განხორციელდა. ეს სამუშაოები 1940.3 ათასი ლარით რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა, 1047.2 ლარით - “სოფლის მხარდაჭერის” პროგრამით, ხოლო 893.0 ათასი ლარით ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით.

რაც შეეხება 2017 წლის 2 თვის ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, უკვე 164 ათასი ლარის სამუშაოები შესრულდა, საიდანაც 83.9 ათასი ადგილობრივი ბიუჯეტიდან იყო გამოყოფილი, 45 ათასი რეგიონული განვითარების ფონდიდან და 35.7 ლარი – “სოფლის მხარდაჭერის” პროგრამიდან.

– წყლის სისტემების რეაბილიტაცია-სა და მოვლა-პატრონობაში გაიხარჯა 508 175.60 ლარი.

– დასუფთავების ღონისძიებებში 509600 ლარი.

– გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციაში 97553 ლარი.

– სანიაღვრე არხების აღდგენა-რეაბილიტაციაში 9163.44 ლარი

– სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია 20612 ლარი.

– კეთილმოწყობაში 353432.27 ლარი

– სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების რეაბილიტაციაში 43980,93 ლარი.

– საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და რეაბილიტაციაში 219376.1 ლარი.

– ჭაბურღილი მოეწყო კოსტავას ქუჩაზე – 25368.82 ლარი.

– შეკეთდა შ. გზირიშვილის და ა. მეკოკიშვილის სახელობის სპორტდარბაზები – 20062 ლარი.

– ჩატარდა იორმუღანლოს იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები – 48988.73 ლარი.

– გადაიხურა კახეთის გზატკეცილზე მდებარე №13, 15 კორპუსები – 39719.98 ლარი.

– სტიქიით დაზარალებულთა საცხოვრებელი სახლების გადახურვაზე გაიხარჯა – 65834 ლარი.

– სოფ. უჯარმის ბაღის სახურავის გადახურვა 11796.93 ლარი.

– ქ. საგარეჯოში მიმდინარეობს მუნიციპალური ბაზრის მშენებლობა – 196266.88 ლარი.

2014-2016 წლებში განხორციელებული პროექტებიდან მნიშვნელოვანია მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდების გასაუმჯობესებლად განხორციელებული პროექტები, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი სოფელ უდაბნოსთვის წყლის სათავე-ნაგებობიდან კონკრეტულად, სოფელ თოხლიაურიდან უდაბნომდე 28 კმიანი მაგისტრალის მოწყობაა, რომლისთვისაც 4 600 000 ლარი გაიხარჯა.

რაც შეეხება სასმელ წყალთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრას, 2014 წლიდან 2 მილიონამდე ლარი დაიხარჯა. სოფელ ხაშმში, სასმელი წყლის დეფიციტის აღმოსაფხვრელად რეგიონული განვითარების ფონდიდან 465 ათასი ლარი გაიხარჯა და დღეს 1730 ადგილობრივი მცხოვრები ხარისხიან სასმელ წყალს იღებს. მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით და “მსოფლიო ბანკის” დაფინანსებით ქალაქ საგარეჯოში მიმდინარეობს სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია და გამრიცხველიანება, რაზედაც 8 მილიონი ლარია გამოყოფილი.

ასევე, მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩატარებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების მოსაწესრიგებლად. 2014 წლიდან დღემდე ქალაქ საგარეჯოში ასფალტის საფარი დაიგო: თამარ მეფის, ერეკლე მეორის, დოდაშვილის, ქეთევან წამებულის, წერეთლის, ქურდიანის, ჯანგულაშვილის ქუჩებზე, სულ 7 კმ 50 მეტრი სიგრძის. აღნიშნული პროექტების მთლიანმა ღირებულებამ 1753855 ლარი შეადგინა.

2014-2016 წლებში, ასევე ასფალტის საფარი დაიგო: სოფელ გიორგიწმინდაში-950 მეტრი, კაკაბეთში – 1 კმ. 800 მეტრი, ვერხვიანში – 2 კმ, ბადიაურში – 750 მეტრი, რომელთა პროექტების მთლიანმა ღირებულებამ 1269444 ლარი შეადგინა. სოფლების – შიბლიანისა და იორმურანლოს შიდა სასოფლო 4000 მეტრი სიგრძის გზის მოასფალტებაზე 973700 ლარი გაიხარჯა. სოფელ იორმუღანლოს გზის მოასფალტება მიმდინარე წელსაც გაგრძელდება, რაზედაც 800 ათასი ლარი გაიხარჯება.

ამავე პერიოდში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განხორციელდა სამი ხიდის რეაბილიტაცია, სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებამ 160 ათასი ლარი შეადგინა.

2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვასა და სამუშაოებში 1.783276.08 ლარი გაიხარჯა, საიდანაც:

მუნიციპალიტეტის 27 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებიდან 2014 წლიდან დღემდე ცხრა დაწესებულებაში მოხდა სრული რეაბილიტაცია, აშენდა სკოლამდელი აღზრდის ორი ახალი შენობა. მუნიციპალიტეტის ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში განახლდა სამზარეულო და აღიჭურვა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

2014 წელს 1150 ბავშვზე მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები 1551612 ლარით იყო დაფინანსებული, 2015 წელს – 1200 ბავშვზე – 1.600.619 ლარით, 2016 წელს – 1354 ბავშვზე – 1.720.500 ლარით. 2017 წელს კი 1265 ბავშვზე აღნიშნული დაწესებულებები 1.650.000 ლარითაა დაფინანსებული.

2014 წელს სოციალური დახმარების პროგრამა 660000 ათასი ლარით დაფინანსდა, საიდანაც 587100 ლარი გაიხარჯა;

2015 წელს – 693800 ლარიდან – 654600 ლარი, 2016 წელს გეგმიური 771405 ლარიდან 753888 ლარი გაიხარჯა.

2017 წელს სოციალური დახმარების პროგრამა 721822 ლარითაა დაფინანსებული, საიდანაც ორ თვეში უკვე 139117 ლარი გაიხარჯა.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო, ასევე, მუნიციპალიტეტში არსებული ორი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს “საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთ გარეჯის მაცნეს”, შპს “საგარეჯოს”) და 9 არაკომერციული იურიდიული პირის (“საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები”, “სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი”, კულტურის ობიექტების გაერთიანება”, სკოლისგარეშე მუშაობის დაწესებულებები”, საზოგადოებრივი ჯანდაცვა”, “სპორტგაერთიანება”, “ჯ. ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა”, “სათნოების სახლი”, სასპორტო სკოლა №105”) მიერ გაწეულ მუშაობას, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილ ტრანსფერებს, 2014-2016 წლების ბიუჯეტს, ისაუბრა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე, აიპ “სპორტგაერთიანების” სპორტსმენთა მიერ მიღწეულ იმ წარმატებებზე, რომლებიც მათ ევროპისა და საერთაშორისო, მსოფლიო ტურნირებზე მიაღწიეს. ასევე, შეეხო და მიმოიხილა აიპ “კულტურის ობიექტების გაერთიანების” თანამშრომელთა შრომითი საქმიანობა და წარმატებები.

მომხსენებელმა დაწვრილებით მიმოიხილა 2017 წლის ის გამოწვევები და გეგმები, რომლებიც 2017 წელს მუნიციპალიტეტის წინაშეა დასახული.

ადგილობრივი თვითმმართველობა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 4

24 თებერვალი 2017 წელი

ქ.საგარეჯო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირების და ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ეგ.“ ქვეპუნქტის, ასევე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს თანდართული ქ.საგარეჯოს ტერიტორიის ზონირება (დანართი №1).

მუხლი 2.

დადგინდეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დანართი 2-ის შესაბამისად.

მუხლი 3.

ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარაგულად ჩაითვალოს „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირების, ნორმატიული ფასის და წლიური საიჯარო ქირის დადგენის შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 თებერვლის №7 დადგენილება. (www.matsne.gov.ge, 04/03/2016, 370160000.35.165.016241)

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქ.საგარეჯოს ზონების აღწერა

ზონა	ლოკალურ ტერიტორიული ინდექსი ITL
ცენტრალური ზონა	
დავით აღმაშენებლის ქუჩა საზღვრებით: დასავლეთით - მდ. თვალთხევიდან, აღმოსავლეთით - რუსთაველისა და დავით აღმაშენებელის ქუჩების გადაკვეთამდე. (დავით აღმაშენებლის ქუჩის ლუწი: 2-დან 58-ის ჩათვლით, კენტი 3-დან 43-ის ჩათვლით), გამარჯვების ქუჩის ნაწილი (№1-დან №35-ის ჩათვლით), თამარ მეფის ქუჩა 2-დან 34-ის ჩათვლით, ერეკლე მეორის ქუჩის ნაწილი, ლუწი: 22-დან 130-ის ჩათვლით, კენტი: 1-დან 97-ის ჩათვლით), აკაკი წერეთლის ქუჩის ნაწილი (1-დან 11-ის ჩათვლით), ლესელიძის ქუჩა, სოლომონ დოდაშვილის ქუჩის ნაწილი (ლუწი: 2-დან 46-ის ჩათვლით, კენტი: 1-დან 29-ის ჩათვლით) ი.მამისაშვილის ქუჩის ნაწილი (ლუწი: 2-დან 22-ს ჩათვლით, ხოლო კენტი: 1-დან 21-ის ჩათვლით), 9 აპრილის ქუჩის ნაწილი 17-დან 39-ის ჩათვლით, რუსთაველის ქუჩა 73-დან 101-ის ჩათვლით, ალაზნის ქუჩის ნაწილი (ლუწი: 2-დან 60-ის ჩათვლით, კენტი: 1-დან 17-ის ჩათვლით), გიორგი ათონელის ქუჩა, ილია ჭავჭავაძის ქუჩის ნაწილი ლუწი: 2-დან 20-ის, კენტი: 1-დან 25-ის ჩათვლით.	1.4
შუალედური ზონა	
ერეკლე მეორის ქუჩა (ცენტრალურ ზონაში აღნიშნული ნომრების გარდა), ილია ჭავჭავაძის ქუჩის ნაწილი (ცენტრალურ ზონაში აღნიშნული ნომრების გარდა), კახეთის ქუჩა მდ. თვალთხევიდან კახეთის გზატკეცილის ქუჩის ნაწილი, 9 აპრილის ქუჩის ნაწილი (ცენტრალურ ზონაში აღნიშნული ნომრების გარდა), ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა, გიორგი ლეონიძის ქუჩა, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა, განთიადის ქუჩა, ი.მამისაშვილის ქუჩის ნაწილი (ცენტრალურ ზონაში აღნიშნული ნომრების გარდა), თბილისის ქუჩა, თამარ მეფის ქუჩის ნაწილი (ცენტრალურ ზონაში აღნიშნული ნომრების გარდა), დავით აღმაშენებლის ქუჩის ნაწილი (ცენტრალურ ზონაში აღნიშნული ნომრების გარდა), შოთა რუსთაველის ქუჩის ნაწილი (ცენტრალურ ზონაში აღნიშნული ნომრების გარდა), სოლომონ დოდაშვილის ქუჩის ნაწილი (ცენტრალურ ზონაში აღნიშნული ნომრების გარდა), ერისთავის ქუჩა, ბაუჯა ქვლივიძის ქუჩა, თავისუფლების ქუჩა, სოლომონ გულისაშვილის ქუჩა, ქურდიანის ქუჩა, სათავის ქუჩა, ფიროსმანის ქუჩა, სოფიკო ჭიაურელის ქუჩა, ნუგზარ ჭანტურიას ქუჩა, აკაკი წერეთლის ქუჩის ნაწილი (ცენტრალურ ზონაში აღნიშნული ნომრების გარდა), ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, მიხეილ ქვლივიძის ქუჩა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, კახეთის გზატკეცილი საზღვრებით: მდ.თვალთხევიდან საგარეჯო-დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გზის დასაწყისამდე ყველა (ლუწი და კენტი) ნომრის ჩათვლით.	1.0
პერიფერიული ზონა	
ამ ზონას მიეკუთვნება ქალაქის დანარჩენი ტერიტორია ადმინისტრაციულ საზღვრებამდე.	0.7

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) დიფერენცირებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ზონირების საფუძველზე შესაბამისი ზონების მიხედვით, დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

CN=IMGXITLXCXK

ა. CN არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ. IMG არის ქ.საგარეჯოს მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0.3-ს;

გ. ITL არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის:

გ.ა. ცენტრალური ზონისათვის -1.4-ს;

გ.ბ. შუალედური ზონისათვის- 1-ს;

გ.გ. პერიფერიული ზონისათვის- 0.7-ს.

დ. C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა 0.24 ლარის ტოლია.

ე. K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა ყველა ზონაში უდრის 100-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს:

ა. ქ.საგარეჯოში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

IMG	ITL	C	K	CN
ცენტრალური ზონა				
0.3	1.4	0.24	100	10.08
შუალედური ზონა				
0.3	1	0.24	100	7.20
პერიფერიული ზონა				
0.3	0.7	0.24	100	5.04

ბ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს ქ.საგარეჯოს შუალედური ზონისათვის დადგენილი ფასის 40%-ის ოდენობით და შეადგინოს 2,88 ლარი.

გ. დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს ადმინისტრაციული ცენტრის - ქ.საგარეჯოს შუალედური ზონისათვის დადგენილი მიწის ფასის 25%-ის ოდენობით და შეადგენს 1.80 ლარს.

დ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს ადმინისტარციული ცენტრის -ქ.საგარეჯოს შუალედური ზონისათვის დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%-ის ოდენობით და შეადგინოს 3.60 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ზრიდონ გურდული

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული აღინიშნა

21 მარტს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლაში ნოვრუზ ბაირამი აღინიშნა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის აზებაიჯანელ მოსახლეობას დღესასწაული ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა* ბიორბი გზირიშვილმა, *საკრებულოს თავმჯდომარემ* ფრიდონ ბურდულმა, *საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა* მანანა ცუცქირიძემ, *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა* არჩილ ჯაბადარმა** და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა მიულოცეს. ნოვრუზი სპარსული სიტყვაა და "ახალ დღე" ნიშნავს. ნოვრუზ ბაირამი უძველესი ტრადიციაა და დღისა და ღამის გათანასწორების, ჰაერის გათბობის, თოვლის დნობის დაწყების, ხეებზე ყლორტის გამოსვლისა და დედამიწის გამოცოცხლების, ანუ სიცოცხლის დაწყების დღედ მიიჩნევენ და შესაბამისად, ნოვრუზ ბაირამიც გაზაფხულის შემოსვლის, ზოგიერთ ქვეყანაში კი ახალი წლის დღესასაწაულია. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა ულოცავს აზერბაიჯანელ მეგობრებს ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულს, ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და ჩვენი ქვეყნის წინსვლას, განვითარებას და უკეთეს მომავალს უსურვებს.

გვანცა ჯავახიშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

ვემსახურები საქართველოს

საგაზაფხულო გაწვევა დაიწყო

საქართველოს პრემიერ მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ბრძანებით მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან დაიწყო სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა საგაზაფხულო გაწვევა. იმასთან დაკავშირებით თუ რა ამოცანებისა და გამოწვევების წინაშე დგანან ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მუშაკები,*** გვესაუბრება ამ სამსახურის უფროსი **კობა ცხვარიაშვილი.**

– სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2017 წლის საგაზაფხულო გაწვევის გეგმის მიხედვით, წელს ჩვენმა სამსახურმა მუნიციპალიტეტიდან ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს უნდა მიაწოდონ 64 წვევამდელი, - აღნიშნა მან ჩვენთან საუბარში, – აქედან, წვევამდელთა ნაწილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში, ნაწილი ამ სამინისტროს შეიარაღებულ ქვედანაყოფებში, შედარებით მცირე რაოდენობა კი საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს პენიტენციალურ დეპარტამენტში მოიხდიან ქვეყნის წინაშე თავიანთ მხედრულ ვალს.

როგორც ყოველთვის, ჩვენი სამსახური ახლაც მობილიზებული შეხვდა წვევამდელთა გაწვევის ამ მორიგ კამპანიას. ჩატარდა წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები და 13 თებერვლიდან მოქალაქეთა გაწვევაც დავიწყეთ. კერძოდ, ნაცვლად ხუთისა, ამ დღეს შეიარაღებულ ძალებში გავიწვიეთ 8 წვევამდელი. სულ კი 20 მარტის მდგომარეობით ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების სამსახურში საგარეჯოდან უკვე ჩამდგარი გვყავდა 28 მოქალაქე.

– შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა გაწვევა მისი სხვადასხვა ასპექტიდან გამომდინარე, მუდამ რთული და პრობლემური საკითხი იყო. თქვენ თუ გაქვთ რაიმე ხელისშემშლელი პრობლემები საგაზაფხულო გაწვევაზე?

– როგორც თქვენივე კითხვაში აღნიშნეთ, ეს პროცესი მართლაც მუდამ რთული და პრობლემურია. თავი რომ დავანებოთ სახელმწიფოს მხრიდან წვევამდელთათვის დაწესებულ შეღავათებს, რომელთა ჩამონათვალიც არც თუ ისე მცირეა (სტუდენტები, ოჯახის მარჩენალი პირები, დედისერთები, სოფლის მასწავლებლები, 1 და 3 შვილიანი ოჯახების პატრონები და ა. შ.), გაწვევის შედეგებზე არც თუ იშვიათად დიდ უარყოფით გავლენას ახდენს წვევამდელთა ჯანმრთელობის პრობლემები, რის გამოც მათ სამხედრო-სავალდებულო სამსახურისათვის უვარგისად თვლიან ანდა, აძლევენ განსაზღვრულ გადავადებას ჯანმრთელობის აღდგენის მიზნით. არანაკლებ პრობლემებს იწვევს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული ჩვენი აზერბაიჯანელი თანამოქალაქეების მიერ სახელმწიფო ქართული ენის უცოდინრობა, რის გამოც თავს იკავებენ ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში მათი ჩარიცხვისგან.

– თქვენ, სახელმწიფოს მხრიდან წვევამდელთათვის დაწესებულ შეღავათები ახსენეთ, რომელთა შორის წვევამდელებს ენიჭებათ უფლება 2000 ლარიანი მოსაკრებლის მეშვეობით მიიღონ სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გარკვეული პერიოდით გადავადება. კერძოდ, რა ვადით შეუძლიათ ამ შეღავათით წვევამდელებს სარგებლობა და თუ ისარგებლა რომელიმე მათგანმა ამ შეღავათით ამ საგაზაფხულო გაწვევაზე?

– 2000 ლარიანი მოსაკრებლით სარგებლობის შემთხვევაში წვევამდელებს სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან გადავადება ეკუთვნით 1.5 წლით, მაგრამ ამ გაწვევაზე ასეთი შეღავათით ჯერჯერობით არავის არ უსარგებლია.

– რამდენად მოტივირებულია ჩვენი ახალგაზრდობა სამხედრო-სავალდებულო სამსახურისთვის? ხომ არ არიან მათ შორის ისეთები, ვინც ცდილობს ამ სამსახურისთვის თავის არიდებას?

– ჩვენი წვევამდელების ნაწილი მართლაც პასუხისმგებლობით ეკიდება ქვეყნის წინაშე თავიანთი მხედრული ვალის აღსრულების საქმეს და დროულად ცხადდებიან გაწვევაზე, თუმცა გვყავს ისეთებიც, ვინც ცდილობენ სამხედრო-სავალდებულო სამსახურისთვის თავის არიდებას, რის გამოც იძულებული ვხდებით ავამოქმედოთ მათ მიმართ სახელმწიფოს მიერ დაწესებული სანქციები და მათი საქმეები გადავცეთ სასამართლოს, რომელიც გადაწყვეტს რა სანქციები დაუწესოს დამნაშავეს. რაც შეეხება სასჯელის ზომას, კანონით ასეთ პირებზე გათვალისწინებულია 1000 ლარის ჯარიმა, რომელსაც იგი იხდის იმის მიუხედავად, ჩაირიცხება თუ არა შეიარაღებული ძალების რიგებში. მთლიანობაში, ჩვენ სასამართლოსათვის გადაცემული გვაქვს 45 ასეთი მოქალაქის საქმე, საიდანაც 70 პროცენტზე მეტი დაჯარიმდა აღნიშნული თანხით. ამიტომ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენს წვევამდელებს მოვუწოდო, ნუ შეეცდებიან ამგვარი ხერხებით სამხედრო-სავალდებულო სამსახურისთვის თავის არიდებას და ნუ მიაყენებენ საკუთარ ოჯახებს ასეთ ზარალს.

რაც შეეხება ამ საგაზაფხულო გაწვევის გეგმის შესრულებას, როგორც საუბრის დასაწყისში აღვნიშნეთ, ჩვენი სამსახური და მისი თითოეული მუშაკი მობილიზებული ვართ მის შესასრულებლად, ამ საქმეში აქტიურად არიან ჩართული მინიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, გვერდში გვიდგანან საგარეჯოს პოლიციის მუშაკები, რაც იმის გარანტიაა, რომ იგი აუცილებლად შესრულდება.

სოფლის მეურნეობა

სახელმწიფო პროგრამაში მეთხეობისა და მეცხვარეობის კოოპერატივებიც ჩაერთვებიან

საქართველოს მთავრობა კვლავ აგრძელებს ქვეყნის აგრარულ სექტორში არსებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამას, რომლის ძირითადი მიზანია მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობისა და ხარისხის ამაღლება, ამ პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდა და საერთაშორისო ბაზრებზე თავისი ადგილის დამკვიდრება. ამ კუთხით კიდევ ერთი ახალი, წინგადადგმული ნაბიჯია ამას წინათ მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლის მიხედვითაც ამ პროგრამას დაემატა წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის კომპონენტი. ცვლილების თანახმად, ამ პროექტში მონაწილეობა ამიერიდან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კოოპერატივებთან ერთად მეცხვარეობის და მეთხეობის კოოპერატივებსაც შეეძლებათ.

იმის შესახებ, თუ კერძოდ, რა სახის დახმარებას ითვალისწინებს მეცხვარეობის და მეთხეობის კოოპერატივებისთვის პროექტში შეტანილი ცვლილება, გვესაუბრება ***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი* გივი მათიაშვილი**:

– ამ საკითხებზე საქართველოს სოფლის მეურნეობის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, – აღნიშნა მან ჩვენთან საუბარში, – მეცხვარეობის მომმაბარე სპეციფიკიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია კოოპერატივების მხრიდან თვითდირებულების 30 პროცენტამდე თანადაფინანსებით მობილური ტიპის 24 ადგილიანი საწველი აღჭურვილობის გადაცემა, თუ კოოპერატივს ანდა მის მეპაიეებს საკუთრებაში გააჩნიათ არანაკლებ 2000 სული ცხვარი (ნერბი).

რაც შეეხება მეთხეობის კოოპერატივებს, თუ მათ, ანდა მათ მეპაიეებს საკუთრებაში ჰყავთ არანაკლებ 200 სული თხა (ნეზვი), მათ გადაეცემათ 12 ადგილიანი საწველი დანადგარი და ყველის დამამზადებელი რძის საწარმო აღჭურვილობა. საწარმოს შენობა-ნაგებობის აშენება კი წარმოადგენს ამ კოოპერატივის ვალდებულებას.

– რას გვეტყოდით რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის შესახებ?

– აღნიშნული სახელმწიფო პროგრამის განხორციელება გასულ წელს დაიწყო. მის ფარგლებში 2016 წელს აშენდა და პროგრამით გათვალისწინებული აღჭურვილობით საქართველოს რეგიონებში დაკომპლექტდა 9 საწარმო, მათ შორის ერთი საწარმო კახეთში. პროგრამის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა მიიღეს სხვადასხვა სიმძლავრის რძის მიმღებ-გადამამუშავებელი აღჭურვილობა და ნედლი რძის კონტროლის საველე ლაბორატორიული ხელსაწყოები. პროგრამაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით გადაეცემათ ხელოვნური განაყოფიერებისათვის საჭირო აღჭურვილობა, ჩაუტარდებათ ტრენინგები.

ამ პროგრამის მთავარი აზრი და მიზანი კი ის არის, რომ მასში ჩართულ კოოპერატივებს საშუალება ეძლევათ სტანდარტების დაცვით მოახდინონ რძის მიღება, ერთი მხრივ ერთობლივად მიაწოდონ რძე რძის საწარმოებს, მეორე მხრივ, მათ საშუალება ეძლევათ მათი მეპაიეების წარმოებული რძე მიიღონ და აწარმოონ რძის პროდუქტები, რაც ხელს შეუწყობს საწარმოო ციკლის გაზრდით კოოპერატივების მეპაიეების შემოსულობების ზრდას.

დასასრული მე-6 გვერდზე

№6(140) 2017 წელი, 16-31 მარტი

ადგილობრივი თვითმმართველობა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური

საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშება-დასაბუთების, მიღებული ბიუჯეტის შესრულების, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი, მიზანშეწონილი და ეფექტიანი გამოყენებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგების უზრუნველყოფა, საბუღალტრო, შესყიდვების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, აგრეთვე გამგეობაში მომზადებული საფინანსო დოკუმენტების ვიზირება; ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დასაქმების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება; უსახლკაროთა რეგისტრაცია და მათი თავშესაფრით უზრუნველყოფა.

სამსახურში ორი განყოფილებაა

საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური

თინათინ ძაბილაშვილი

სამსახურის უფროსი

დაიბადა 1963 წელს.

განათლება: ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი – ვაჭრობის ეკონომიკის სპეციალობით.

სამუშაო გამოცდილება – საქონელმცოდნე, თბილისის საქარხნო რაისურსათვაჭრობა (1986-1987წწ.), საგეგმო კომისიის უფროსი ეკონომისტი – საგარეჯოს რაისაბჭოს აღმასკომი (1987-1991წწ),ინსტრუქტორი – საგარეჯოს რაიონის პრეფექტურის მრეწველობისა და პრივატიზაციის განყოფილება (1991-1992წწ); უფროსი სპეციალისტი – საგარეჯოს რაიონული გამგეობის ეკონომიკისა და მეწარმეობის განყოფილება (1992-1994წწ); განყოფილების გამგის მოადგილე – საგარეჯოს რაიონული გამგეობის ეკონომიკური და სოციალური განვითარების, რეფორმების, ანალიზისა და პროგნოზირების განყოფილება (1994-1995წწ); ადმინისტრაციულ-სააღმსრულებლო წარმოების ინსპექტორი – საგარეჯოს რაიონული სასამართლო (1995-1999წწ); აპარატის უფროსი – ქ. საგარეჯოს აპარატი; (2001-2006); მთავარი სპეცილისტი – ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური (2006-2010წწ); ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახური (2011-2014წწ);

2014 წლის აგვისტოდან დღემდე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსია.

საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილება

ხათუნა ჭორლანაშვილი

განყოფილების უფროსი

დაიბადა 1968 წელს.

განათლება – ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიკისა და სამართალმცოდნეობის კურსი – წარმოების ეკონომიკა და მართვის სპეციალობა.

სამუშაო გამოცდილება: საგარეჯოს რაიონის გამგეობის საფინანსო სამსახურის ეკონომისტი, შემდეგ მთავარი ეკონომისტი, მთავარი ბუღალტერი, ხაზინის უფროსი, საბიუჯეტო განყოფილების უფროსი (1990-2015წწ).

2015 წლიდან დღემდე საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების უფროსია.

მარინე თედიაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ადგილობრივი ფინანსების მართვის საკითხებში

დაიბადა 1960 წელს.

განათლება – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება: ინჟინერ-ნორმადარი – თბილისის ქარხანა „მონკავშირი" (1983-1987წწ); ეკონომისტი – საქართველოს შემნახველი ბანკის საგარეჯოს ფილიალი (1997-2005წწ); მთავრი ბუღალტერი საგარეჯოს გამგეობა (2005-2006წწ); საბუღალტრო სამსახურის უფროსი (2006-2007წწ); მთავარი სპეციალისტი – საბიუჯეტო სამსახური (2007წ); ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების უფროსი (2009-2010წწ); ადგილობრივი ფინანსების მართვის განყოფილების უფროსი (2010-2014წწ).

2014 წლიდან დღემდე – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტია ადგილობრივი ფინანსების მართვის საკითხებში.

მანანა ხიზანიშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო-ტექნიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტი ხაზინის საკითხებში

დაიბადა 1958 წელს

განათლება: თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი, სპეციალობა – ეკონომისტ-სტატისტიკოსი.

სამუშაო გამოცდილება: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური დამზადების გაერთიანების წამყვანი სპეციალისტი (1984-1994წწ); ცეკავშირის ეკონომიკის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი (1994-2013წწ); 2013 წლიდან დღემდე საფინანსო-საბიუჯეტო და მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტია ხაზინის საკითხებში.

ზურაბ მათიაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში

დაიბადა 1971 წელს.

განათლება: თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. სპეციალობა – ეკონომისტი.

სამუშაო გამოცდილება: აღმოსავლეთ საქართველოს დასაქმების ფონდის თანამშრომელი საგარეჯოს რაიონში (1995-1998წწ); პერიოდულად ეწეოდა კერძო ბიზნესს. 2009 წლიდან დღემდე არის საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში.

თამარ უსტიაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში

დაიბადა 1962 წელს.

განათლება: თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის ფაკულტეტი – ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობა, სპეციალიზაცია – ფინანსისტი.

სამუშაო გამოცდილება: საგარეჯოს რაიონის საფინანსო განყოფილება – უფროსი ეკონომისტი (1990-1997წწ); მთავარი სპეციალისტი (1998-2004წწ); საფინანსო განყოფილების უფროსის მოადგილე (2004-2007წწ); საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური – სპეციალისტი, ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების საკითხებში (2007-2008წწ); საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური – ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი (2009-210წწ); ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის უფროსი (2013-2014წწ); 2014 წლიდან დღემდე საფინანსო საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტია ბიუჯეტისა და პირველადი აღრიცხვის საკითხებში.

ნინო ფირყულაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში

დაიბადა 1969წელს

განათლება: საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის ბუღალტრული აღრიცხვა წითელ დიპლომზე (1987წელი); საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დაუსწრებელი სწავლების ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობა – ბუღალტრული აღრიცხვა-რევიზია-კონტროლი. ილიას სახელობის ინსტიტუტის კომპიუტერული აღრიცხვის კურსი (1997წ); ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო-ადმინისტრაციული სკოლა (2015წ); სახელმწიფო აუდიტის სრული კურსი, სახელმწიფო აუდიტორის სერტიფიკატით (2015წ).

სამუშაო გამოცდილება: 1987 წლიდან – საგარეჯოს რაიონის საბიუჯეტო-საფინანსო განყოფილების რევიზორ-ინსპექტორი, ეკონომისტი (1990-1992წწ); მთავარი ეკონომისტი (1992-1997წწ);

2008 წლიდან დღემდე მთავარი სპეციალისტი ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში

მარინა ქურთიშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში

დაიბადა 1960 წელს.

განათლება: თბილისის საფინანსო-ეკონომიური ტექნიკური სასწავლებელი, ფინანსისტი.

სამუშაო გამოცდილება: საქართველოს

გაგრძელება მე-5 გვერდზე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური

გაგრძელება

განათლების სამინისტრო – ბუღალტერი (1978-1982წწ); საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ბუღალტერი (1982-1985წწ); საგარეჯოს რაიონის საფინანსო განყოფილება – ეკონომისტი (1985-1990წწ); ამავე განყოფილების ბუღალტერი (1990-2004წწ); 2004 წლიდან დღემდე საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში.

კობა ელერდაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ბიუჯეტისა და პირველადი ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში



დაიბადა 1968 წელს.

განათლება: საქართველოს აგრარული ინსტიტუტი, ეკონომიკური ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება: სოფელ პატარძეულის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის სტატისტიკოსი (1994-99 წ.წ.) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების სპეციალისტი (2008-2014 წ.წ.)

2014 წლიდან დღემდე მთავარი სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების საკითხებში.

ნონა როსტიაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების სპეციალისტი

დაიბადა 1975 წელს.

განათლება: საგარეჯოს პოლიტექნიკური კოლეჯი – ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშების ფაკულტეტი, სპეციალობა ბუღალტერი.

სამუშაო გამოცდილება – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო განყოფილება – მდივან-რეფერენტი (1995-2015წწ). 2015 წლიდან დღემდე საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების სპეციალისტია.

მიხეილ კერატიშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტი

დაიბადა 1973 წელს.

განათლება: საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ზოოსაიჟინრო ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება: ფერმის გამგის თანაშემწე – სოფელ პატარძეულის მეფრინველეობის ფაბრიკა (1994-1996წწ); ფერმის გამგის თანაშემწე – სოფელ გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსი (1998-2000წწ); გარე-გამწვანების ჯგუფის უფროსი, შპს „ტავი“ (2005-2008წწ); სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების უფროსი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა (2013-2014წწ); 2014 წლიდან დღემდე საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში.

ნუგზარ იმედაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტი

დაიბადა 1948 წელს.

განათლება – საგარეჯოს ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის მექანიზაციის ფაკულტეტი (1969წ); ბაქოს უმაღლესი პარტიული სკოლა (1979წ).

სამუშაო გამოცდილება – სხვადასხვა კომკავშირული და პარტიული საქმიანობა (1972-1991წწ); „გარეჯის “მეურნეობის დირექტორის მოადგილე მელიორაციის დარგში (1991-1992წწ); გარემოს დაცვის საგარეჯოს სარაიონთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე (1992-1996წწ); საგარეჯოს რაიონული გამგებლის მოადგილე (1996-2004წწ); საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი (2004-2008წწ); საგარეჯოს გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მთავარი სპეციალისტი (2009-2010წწ); ამავე სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი (2010-2011წწ); 2011 წლიდან დღემდე არის საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

ნუგზარ ბაირამაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტი

დაიბადა 1961 წელს.

განათლება: საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმი, სასოფლო-სამეურნეო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალისტი.

სამუშაო გამოცდილება: ოსტატი – საგარეჯოს სამარკო და საექსპორტო ღვინოების ჩამომსხმელი ქარხანა, მუშა-მოძრავ-მექანიზებული კოლონა (1985წ); ნავთობპროდუქტების მეკუჭნავე – საგარეჯოს რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმო (1988); ოსტატი კოოპერატივი „ოქროს საწმისი“ (1992წ); საგარეჯოს რაიონის გამგეობის კომენდანტი (2004-2008წწ); სამნეო ნაწილის უფროსი (2008-2012წწ); სამეურნეო ნაწილის განყოფილების გამგე (2012-2014წწ);

2014 წლიდან დღემდე არის საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილება

სოფო შაძარაშვილი

ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსი

დაიბადა 1983 წელს

განათლება: თბილისის სამედიცინო აკადემია – სტომატოლოგი.

სამუშაო გამოცდილება: სტომატოლოგიური კლინიკის ექიმი-სტომატოლოგი (2006-2007 წ.წ.) გაზეთ პალიტრა ნიუსს, ამბები.გე-ს და საინფორმაციო სააგენტო “ინტერპრესნიუსის” ადმინისტრატორი (2012-2014 წ.წ.)

2014 წლის აგვისტოდან დღემდე ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსია.

ქეთევან ბედიაშვილი

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტი

დაიბადა 1981 წელს.

განათლება: სტომატოლოგი, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიასთან არსებული სტომატოლოგიური ინსტიტუტი.

სამუშაო გამოცდილება: ლექტორი – საგარეჯოს მრავალდარგოვანი კოლეჯი „გოცი“ (2003-2005წწ); არქივის თანამშრომელი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (2005-2006წწ); პრეს-მდივანი – საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კახეთის რეგიონული ორგანიზაცია (2007-2009წწ); ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტი 2013 წლიდან დღემდე.

ია თოლომაშვილი

ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტი სოციალურ საკითხებში

დაიბადა 1973 წელს

განათლება: თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ისტორიკოსი.

სამუშაო გამოცდილება: აიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სპეციალისტი (2008 წლის ივნისი-სექტემბერი); ამავე გაერთიანების დირექტორი (2008-2012წწ); სოციალური განყოფილების უფროსი საჯარო მოხელე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში (2012-2014წწ).

2014 წლიდან დღემდე – ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტი სოციალურ საკითხებში

მაია დარბაისელი

ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტი – სოციალური აგენტი

დაიბადა 1974 წელს;

განათლება: ექიმი-პედიატრი, ს. ხუნდაძის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტი „სხივი“, პედიატრიული ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება: იორმუღანლოს პოლიკლინიკაში ზოგადი პროფილის ექიმი-პედიატრი (2001-2003წწ); იმყოფებოდა საზღვარგარეთ სამუშაოდ. 2013 წლიდან დღემდე მთავარი სპეციალისტი – სოციალური აგენტი.

ძაგული მათიაშვილი

მთავარი სპეციალისტი მუნიციპალური დასაქმების საკითხებში



დაიბადა 1952 წელს.

განათლება: – ინჟინერი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი, ფოტოჟურნალისტი – სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფოტოჟურნალისტიკის ფაკულტეტი (მეორადი). სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტურა.

სამუშაო გამოცდილება: სხვადასხვა კომკავშირული და პარტიული საქმიანობა (1975-1991წწ); სახელმწიფო ქონების მართვის განყოფილების უფროსი (1993-2002წწ); საგარეჯოს რაიონის გამგებლის მოადგილე (2002-2004წწ); საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური და ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსი, გამგებლის თანაშემწე (2008-2013წწ); საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი ვეტერანთა საკითხებში (2013-2014წწ).

2014 წლის ივლისიდან დღემდე მთავარი სპეციალისტია მუნიციპალური დასაქმების საკითხებში.

რუსუდან ხარძიანი

მთავარი სპეციალისტი უსახლკაროთა რეგისტრაციის საკითხებში

დაიბადა 1953 წელს

განათლება: ბაქოს უმაღლესი პარტიული სკოლა (1977-1983წწ).

სამუშაო გამოცდილება: სხვადასხვა კომკავშირული და პარტიული საქმიანობა (1971-1985წწ); საზოგადოება „ცოდნის“ საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის

დასასრული მე-6 გვერდზე

სახელმწიფო პროგრამაში მეთხეობისა და მეცხვარეობის კოოპერატივებიც ჩაერთვებიან

დასასრული

ჩვენს მუნიციპალიტეტში მეცხვარეობის და მეთხეობის კარგი, და მე ვიტყოდი, საუკუნეობრივი ტრადიციებია.

– ჩვენს მუნიციპალიტეტში თუ გვაქვს დღეს მეცხვარეობის ამ დარგში შექმნილი კოოპერატივები და შეძლებენ თუ არა ისინი ჩაერთვნენ აღნიშნულ სახელმწიფო პროგრამაში?

– ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მეთხეობის და მეცხვარეობის მართლაც დიდი ტრადიციები აქვს, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად აქ არსებული საძოვრების სიუხვითაცაა განპირობებული. უდაბნოს, აზერბაიჯანული მოსახლეობის მიმდებარე იალაღები საუკეთესო პირობებს ქმნიან მესაქონლეობის ამ დარგის განვითარებისთვის და ამიტომაც შემთხვევითი არაა, რომ მუნიციპალიტეტში შექმნილი მეცხვარეობის ორი კოოპერატივი სწორედ ამ სოფლებშია. კერძოდ, უდაბნოში მეცხვარეობის კოოპერატივ რკ "უდაბნო მოლს" (დირექტორი გია იოსელიანი) სკუთრებაში ჰყავს 2000 სულზე მეტი ცხვარი. სოფელ ლამბალოში შექმნილია კოოპერატივი რკ "ვატი" (დირექტორი ბახრამ ალაზოვი), რომელსაც საკუთრებაში ამ რაოდენობაზე გაცილებით მეტი ცხვარი გააჩნია. გამოქვეყნდა თუ არა მთავრობის აღნიშნული გადაწყვეტილება, ჩვენმა სამსახურმა ორივე კოოპერატივის ხელმძღვანელობას აცნობა აღნიშნულის შესახებ, ხოლო მიიღებენ თუ არა ისინი მასში მონაწილეობას, ეს უკვე მათი გადასაწყვეტია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მუნიციპალიტეტში კიდევ ბევრი რესურსია მსგავსი კოოპერატივების შესაქმნელად. აღნიშნულ პროექტში მონაწილე კოოპერატივების რეგისტრაცია კი ჯერ არ დაწყებულა. აქედან გამომდინარე, ამ პირებს შეუძლიათ რეგისტრაციის დაწყებამდე მოასწრონ კოოპერატივების დაფუძნება და სახელმწიფო პროექტში მონაწილეობის მიღება.

ესაუბრა გივი დაბახიშვილი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური

დასასრული

გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი (1985-1994წწ); მთავარი სპეციალისტი – საგარეჯოს რაიონული გამგეობის კანცელარია (1994-1996წწ); საგარეჯოს გამგეობის სოციალური დაცვისა და ლტოლვილთა საკითხების მრჩეველი (1996-1998წწ); შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის განყოფილების გამგე (1998-2000წწ); გამგეობის სპეციალისტი იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებში (2000-2006წწ); გამგეობის შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებუილ პირთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მომსახურების საკითხებში (2006-2014წწ);

2014 წლიდან დღემდე მთავარი სპეციალისტი უსახლკაროთა რეგისტრაციის საკითხებში.

შესყიდვების განყოფილება

ნიკოლოზ ბუზარიაშვილი

განყოფილების უფროსი

დაიბადა 1988 წელს

განათლება: თბილისის სასოფლო (აგრარული) უნივერსიტეტი, ეკონომიკური ფაკულტეტი, სპეციალობა – ბიზნესი და მართვა.

სამუშაო გამოცდილება: სპეციალისტი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური (2009-2011წწ); შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი (2011-2014წწ).

2016 წლიდან დღემდე არის შესყიდვების განყოფილების უფროსი.

მაკა ხოსიტაშვილი

განყოფილების მთავარი სპეციალისტი

დაიბადა 1988 წელს

განათლება: შრომისა და წარმოების კვლევით-სამეცნიერო სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი – საბანკო-საფინანსო და სადაზღვევო საქმის სპეციალობა.

სამუშაო გამოცდილება: შპს „თამარი გარეჯელის" სახელობის კერძო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი (2013-2014წწ); კრედიტ-ოფიცერი – ბანკი „ფინკა".

2016 წლიდან შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

ანი ვაშაკიძე

განყოფილების მთავარი სპეციალისტი

დაიბადა 1993 წელს

განათლება: თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. სწავლობს ამავე უნივერსიტეტის კერძო სამართლის მიმართულებით.

სამუშაო გამოცდილება: პრაქტიკოს-იურისტი – თბილისის მერიის პროექტ „თბილისელების" ადვოკატი (2014-2015წწ); სტაჟიორი – გორის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (2015წ);

2016 წლის იანვრიდან შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

ახალი საწარმო – დასაქმდა 14 ადამიანი

თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი მეფრინველეობის საწარმო საგარეჯოს მუნიციპალიტეტში - „შპს ახალი ქართული პროდუქტი", რომელიც „ერთიანი აგროპროექტის" ფარგლებში შეიქმნა, „შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის" მენეჯერმა გიორგი ჯიბლაძემ, კახეთის გუბერნატორის პირველ მოადგილესთან ირაკლი შიოშვილთან და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელთან გიორგი გზირიშვილთან ერთად დაათვალიერა. შპს „ახალი ქართული პროდუქტის" მეფრინველეობის ფერმაში 10 000 ფრთა ქათამია, რომელიც ყოველდღიურად 8000 -დან 10 000 -მდე კვერცხს აწარმოებს. საწარმოში 14 ადამიანია დასაქმებული., პროდუქციის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ ბაზარზე. აღნიშნული საწარმო 2016 წელს გაიხსნა. კომპანია „შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის" ბენეფიციარია. საწარმოში ჯამურად 100 000 აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, აქედან 70 000 აშშ დოლარს შეღავათიანი აგროკრედიტი შეადგენს, ხოლო 30 000 აშშ დოლარი ბენეფიციარის საკუთარი ინვესტიციაა. 2013 წლიდან სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტო სხვადასხვა პროექტს ახორციელებს ახალი საწარმოების შექმნის მიზნით. პროექტების ფარგლებში შეღავათიანი სესხები გაიცემა როგორც ახალი საწარმოების შექმნისთვის, ასევე უკვე არსებულის გაფართოებისთვის. ამ ეტაპზე, პროექტის ფარგლებში უკვე დაფინანსდა 700 -ზე მეტი მოქმედი და 154 ახალი საწარმო. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო „აწარმოე საქართველოში - სწრაფი განვითარებისთვის" ფარგლებში ახორციელებს „ერთიან აგროპროექტს", რომელიც გათვლილია გრძელვადიან განვითარებაზე და მისი მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.



სოფელ ნინოწმინდაში მეფრინველეობის საწარმო გაიხსნა

K1 და კიკბოქსინგი

ორი ქამარი და 23 საპრიზო ადგილი

უკვე ოთხ თვეზე მეტია გასული მას შემდეგ, რაც ლამბალოს საჯარო სკოლის (დირექტორი **დათო როსტომაშვილი**) სპორტულ დარბაზში გაიხსნა K1 და კიკბოქსინგის შემსწავლელი წრე, რომელსაც ხელმძღვანელობენ მწვრთნელები **რახმან გუსეინოვი** და **იბრაგიმ მამედოვი.** თებერვალში 26 აღსაზრდელმა მიიღო თბილისში, გლდანის "დდდ" კრივის დარბაზში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც ამ სტილის ქართველ "მოხხუბრებთან" ერთად მონაწილეობდნენ თურქეთის, ირანის, აზერბაიჯანის და სომხეთის წარმომადგენლები.

აღნიშნულ ტურნირში რახმან გუსეინოვის და იბრაგიმ მამედოვის "შეგირდებმა" შესაშური შედეგი აჩვენეს,- საერთო ჯამში მოპოვებული 23 საპრიზო ადგილის და მედლიდან, 11 გახდა ჩემპიონი და ოქროს მედლის მფლობელი, 8 – ვერცხლის, ხუთმა კი ბრინჯაოს სინჯის მედლები მოიპოვა.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს დიდების ასაკში მოასპარეზეებმა კარაევმა (73 კგ) და სალეხ გურბანოვმა (60 კგ), რომლებმაც შეძლეს ორი ქამრის მოპოვება.

სურათზე: ***საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულები და მათი მწვრთნელები იბრაგიმ მამედოვი (მარჯვნიდან მეორე) და რახმან გუსეინოვი.***

მეთერთმეტედ საქართველოს ჩემპიონი

მიმდინარე წლის 14 მარტს საქართველოს ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე დოს ფედერაციამ ჩაატარა საქართველოს ჩემპიონატი კარატეში, რომელიც მიზნად ისახავდა მსოფლიოს პირველობაზე დასაყენებელ ქართველ მოჩხუბართა შერჩევას. ამ ასპარეზობაში 14-15 წლიანთა შორის მონაწილეობდა ჩვენებური 14 წლის სპორტსმენი, მსოფლიოს ორგზის, ევროპის სამგზის და საქართველოს ათგზის ჩემპიონი **დავით ლაფაჩიშვილი**, რომელმაც გამარჯვებებით დააგვირგვინა ყველა თავისი შეხვედრა და წელს უკვე მეთერთმეტედ იზეიმა საქართველოს ჩემპიონობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ჩემპიონატს ესწრებოდნენ იაპონიის ელჩი საქართველოში, საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და რესპუბლიკის სხვა პასუხისმგებელი პირები.

საქართველოს მეთერთმეტედ გაჩემპიონობამდე დავით ლაფაჩიშვილმა კიდევ ერთი დიდი წარმატება იზეიმა. 2016 წლის 4-6 ნოემბერს საქართველოში იმყოფებოდა გოჯუ-რიუ კარატე დოს მსოფლიო დონის ინსტრუქტორი სენსეი ტეტრუჯი ნაკამურა, რომელიც იაპონიიდან საქართველოს წელიწადში ორჯერ სტუმრობს ხოლმე, ინსტრუქტაჟის და გამოცდების ჩასატარებლად. მისი გადაწყვეტილებით დათუნას მიენიჭა შავი ქამარი და გახდა პირველი დანის მფლობელი. 14 წლის ჩვენებური სპორტსმენი თბილისის მესამოცე სკოლის წარჩინებული მეცხრეკლასელი, ამჟამად ინტენსიურად ვარჯიშობს და ემზადება მომავალი მსოფლიო პირველობისთვის, რომელიც მომდევნო აპრილის თვის ბოლოს ჩატარდება. წარმატება ვუსურვოთ მას ამ ასპარეზობაშიც.

ძიუდოს სპეციალისტთა მოწოდება დაიმსახურა



ამასწინათ ჩატარდა საქართველოს პირველობა ძიუდოში ახალგაზრდებს შორის, რომელშიც მონაწილეობას იღებდა აიპ "საგარეჯოს სპორტგაერთიანების" პერსპექტიული მოჭიდავე **ლაშა მათიაშვილი**. მიუხედავად იმისა, რომ თავისზე ორი წლით უფროს ასაკში გამოდიოდა, ჩვენებურმა ძიუდოისტმა ტოლი არ დაუდო თავისზე უფროს მოჭიდავეებს და შეძლო 81 კგ. წონით კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილისა და ბრინჯაოს მედლის დასაკუთრება. რაც მთავარია თავისი შემართებული პაექრობით ლაშამ ქართული ძიუდოს სპეციალისტებისა და გულშემატკივრების ყურადღება მიიპყრო და აყვანილია საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში.

თავისუფალი ჭიდაობა

ბრინჯაო ორწლიანი „შესვენების" შემდეგ

ახალგაზრდებში საქართველოს, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონის, დიდებში მსოფლიო პრიზიორის, ჩვენებური თავისუფალი სტილის მოჭიდავის **დავით ხუციშვილის** სახელი კარგადაა ცნობილი ჭიდაობის ამ სახეობის სამყაროში. სამწუხაროდ, ამ ორი წლის უკან მიღებული მძიმე ტრამვის შედეგად მას იძულებითი "შვებულების" აღება დასჭირდა ტრავმების მოსაშუშებლად და გამოჯანმრთელდა თუ არა მაშინვე ხალიჩაზე დადგა. ამ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მან შეძლო დიდებში საქართველოს პირველობაზე მესამე ადგილის დაკავება 81 კგ. წონით კატეგორიაში.

მესამე ადგილი ბერძნულ-რომაულში

სულ ხუთიოდე თვის წინ აიპ "საგარეჯოს სპორტგაერთიანებაში" ჩამოყალიბებული ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა სექციის მოჭიდავეებმა ახალგაზრდებში **(მწვრთნელი თამაზ ჟიფიანი)** ამასწინათ ჩატარებულ საქართველოს პირველობაზე მიიღეს მონაწილეობა, სადაც **ძერიმ მაჩალიკაშვილმა** III საპრიზო ადგილი დაიკავა 66 კგ. წონით კატეგორიაში.

ჭადრაკი

სიღნაღში— გუნდურ პირველობაზე

25 მარტს ქ. სიღნაღის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა ჭადრაკში აქაური მწვრთნელის ომარ კოკოლაშვილის ხსოვნის ტურნირი გუნდურ ჭადრაკში.

ტურნირში კახეთის რეგიონის ხუთი მუნიციპალიტეტის: თელავის, გურჯაანლაგოდეხის, მასპინძელი სიღნაღისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსწავლე-მოჭადრაკეთა გუნდი, - ოთხი მოჭადრაკე ჭაბუკის, ორი გოგონას და ერთი სათადარიგო მოჭადრაკის შემადგენლობით იღებდნენ მონაწილეობას.

ტურნირში მონაწილე ჩვენი მუნიციპალიტეტის მოჭადრაკეთა გუნდი დაკომპლექტებული იყო ვაჟებში: 12 წლიანებში – საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი – **ნიკა კევლიშვილი** (მწვრთნელი ი. ქვლივიძე), **ლევან დალბაშვილი**, საქართველოს ექსჩემპიონი 8 წლიანებში (მწვრთნელი ელ. ფარეშიშვილი), მიმდინარე წლის კახეთის ჩემპიონი **ზუკა გამრეკელაშვილი** (მწვრთნელი ირ. ქვლივიძე), **საბა დუჩიძე და მიხეილ ტალანოვი** (მწვრთნელი ირ. ქვლივიძე), გოგონებში თამაშობდნენ **ეთერი ხეგრელაშვილი** (მწვრთნელი ირ. ქვლივიძე) და **ნინო ესაიაშვილი** (მწვრთნელი ნ. უნაფქოშვილი).

პირველ ტურში ჩვენებურ მოჭადრაკეებს შეხვედრა ჰქონდათ სიღნაღელ თანატოლებთან, რომლებიც მშრალი ანგარიშით 6:0 დაამარცხეს. იგივე შედეგით დაასრულეს მათ პაექრობა გურჯაანის გუნდთანაც. მესამე ტურში მათ შეხვედრა ჰქონდათ ტურნირის ძირითად კონკურენტ, თელავის ძლიერ გუნდთან, რომელთანაც შეხვედრაში ვერც ერთმა მონაწილემ ვერ მიაღწია უპირატესობას და ანგარიში ფრედ 3:3 დასრულდა.

ბოლო, მეოთხე ტურში მათ შეხვედრა ჰქონდათ ლაგოდეხის გუნდთან, რომელთანაც თამაშში თელაველებს მოგებული ჰქონდათ 5,5 : 0,5 –ზე. აქედან გამომდინარე, ჩვენს მოჭადრაკეებს სჭირდებოდათ მშრალი ანგარიშით მოგება, რათა გამხდარიყვნენ ტურნირის ჩემპიონები, ამის გაკეთება მათ თითქოს კიდევაც შეძლეს, მაგრამ სულ რაღაც ნახევარი ქულა დააკლდათ მიზნის მისაღწევად. თელაველების მსგავსად, ეს ტური მათაც ანგარიშით 5,5 : 0,5 ზე დაასრულეს, რითაც თანაბარი ქულები აღმოაჩნდათ. ამიტომ დაინიშნა დამატებითი მატჩი 15 წუთიანი პარტიებით, სადაც გარეჯელმა მოჭიდავეებმა შეძლეს 4 : 2 დაემარცხებინათ თელავის გუნდი და ტურნირის ჩემპიონობა ეზეიმათ.

როგორც ჩვენთან საუბარში მწვრთნელმა და ჭადრაკის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტმა ირაკლი ქვლივიძემ აღნიშნა, ჩვენებური მოჭადრაკეების ამ წარმატებაში განსაკუთრებული როლი ითამაშეს **ზუკა გამრეკელაშვილმა** და **ნინო ესაიაშვილმა,** როლმებმაც ჩატარებული 5-5 პარტიიდან ყველა მოგებით დაასრულეს.

ტურნირის დამთავრების შემდეგ გარეჯელი მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ სიღნაღის კომპლექსური სასპორტო სკოლის თასებით, მედლებითა და სიგელებით. მათვე გადაეცათ კახეთის ჭადრაკის ფედერაციის მიერ დაწესებული საერთაშორისო დიდოსტატის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის თამარ ხმიადაშვილის სახელობის გარდამავალი თასი.

თავისუფალი ჭიდაობის სექციაში

როცა ინტერესი დიდია

მესამე წელია სოფელ ხაშმში ფუნქციონირებს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა სექცია (***მწვრთნელი ნიკოლოზ გოგნიაშვილი***), რომელიც დღეისათვის ხაშმის ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულის მოზრდილ ოთახშია განთავსებული. აქ დაწესებულ მეცადინეობა-ვარჯიშებზე სისტემატურად 15-18 აღსაზრდელი ვარჯიშობს. სპორტულ დარბაზად წოდებულ ოთახში ლეიბები, ჰანტელები და კუსტარულად აწყობილი სავარჯიშო ინვენტარი აქვთ. მათგან ზოგიერთი სავარჯიშო ნივთი თავად აქაური მოსწავლეების მშობლების ხელის წახმარებითაა გაკეთებული. მეცადინეობაზე მისულებს მშობლებიც დაგვხვდნენ, რომლებიც, როგორც შევატყვეთ, საკმაოდ დიდი სიამოვნებით ადევნებდნენ თვალს თავიანთი შვილების მეცადინეობას. მათ შორის ქალბატონს გავესაუბრეთ. ის 9 წლის გიორგი მახარაძის დედა აღმოჩნდა, რომელიც აქვე ცხოვრობს და ზოგჯერ ახერხებს შვილის ვარჯიშზე დასწრებას. – მამამისი მხოლოდ უქმე დღეებში ახერხებს მისი სპორტული მომზადების ნახვას,– მეუბნება მადონა ქამადაძე,– გიორგი ოქტომბერში მოვიდა აქ. ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა აქ ვარჯიშის, მამამისი საგარეჯოში გამართულ ტურნირზე მის გამოსვლას დაესწრო, მართალია, გამარჯვება ვერ მოიპოვა გიორგიმ, მაგრამ, გამოცდილება შეიძინაო, გახარებული იყო.

– ჩემი შვილი ლევან ბაგაშვილი 8 წლისაა, წელიწადზე მეტია სექციაში ვარჯიშობს, მე თვითონ ბოქსიორი და კიკბოქსინგის მიმდევარი ვიყავი, თუმცა ახლა ისე აქტიურად აღარ ვვარჯიშობ, მამაჩემი თავისუფალი სტილით ჭიდაობდა. ამდენად ინტერესი ლევანისაც და ჩვენი ოჯახისაც მიზანმიმართულია – ლევანი ჯანმრთელი და გამარჯვებისათვის მოტივირებული ახალგაზრდა გაიზრდება. მისი თავისუფალი დრო დაკავებული იქნება აქტიური ვარჯიშებით,– მეუბნება ლევანის მამა ბექა,– შეიძლება სუსტი ადამიანი ვარჯიშებმა შემდგომში მსოფლიო მნიშვნელობის ჩემპიონად აქციოს.

– ჩემი შვილი ჭიდაობდა და საკმაოდ კარგი შედეგები ჰქონდა,– მეუბნება 8 წლის ომარ ვართანიანის ბიძა – სანდრო. – ომარის ხშირად ესმის მისი სპორტული წარმატებების შესახებ და აი, 6 თვეა ომარი ამ სექციაში ვარჯიშობს. აქ დიდი სიხარულით და ინტერესით მოვიდა. მამამისი მუშაობს, მე როცა თავისუფალი დრო მაქვს, მოვდივარ და მათ ვარჯიშს სიამოვნებით ვუყურებ. მეც, ჩემი ძმაც და ბევრი ხაშმელი აქ, ამ შენობაში არსებულ სპორტულ სექციაში ვვარჯიშობდით ადრე. რომ იტყვიან, ჩვენი თაობა ამ შენობაში, ჭიდაობის სექციაში გავიზარდეთ.

– მართალია, აქ ვატარებდით მთელ თავისუფალ დროს ხაშმელი ახალგაზრდები. სკოლაში მეცადინეობების შემდეგ და სკოლის დამთავრების შემდეგაც. აქ ასაკს მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვარჯიში, ჭიდაობის დაუფლება ერთმანეთთან გვაკავშირებდა და გვამეგობრებდა,– საუბარში ერთვება გია ჯაგოდნიშვილი, 10 წლის უჩას მამა,– მეც და ჩემი ძმა – ირაკლიც მოჭიდავეები ვიყავით, ვმონაწილეობდით რაიონულ შეჯიბრებებსა და საქართველოს ტურნირებში. უჩაც იმიტომ დაინტერესდა ჭიდაობით, თანაც სხვა არჩევანი ჩვენს შვილებს არც აქვთ. როცა აქ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთათვის სექცია გაიხსნა, ხაშმელებმა ამოვისუნთქეთ, ჩვენი შვილები თავისუფალ დროს საჭიდაო დარბაზში ვარჯიშებში გაატარებენ, შეიძლება ყველა ვერ გახდეს მსოფლიო დონის ჩემპიონი, მაგრამ გაკაჟდებიან, ჯანმრთელები იქნებიან...

– წარმატებებისკენ ყველა ისწრაფის, თითქმის ყველა ტურნირში ვიღებთ მონაწილეობას, შეიძლება პირველი ადგილი ვერ მოვიპოვოთ, მაგრამ გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ყოველთვის ხაშმელიც დგას,– საუბარს აგრძელებს მწვრთნელი ნიკოლოზ გოგნიაშვილი,– შეიძლება კარგი მომავალი ვუწინასწარმეტყველოთ ლუკა და ნიკა შინჯიკაშვილებს, ისინი ასაკითაც დანარჩენებს შედარებით წინ უსწრებენ და როცა ისინი ვარჯიშობენ, თანაგუნდელებიც დიდი შემართებით ცდილობენ ფიზიკურ დატვირთვას.

თავისუფალი სტილით მოჭიდავე პატარა ხაშმელები დიდი სიამოვნებით იღებენ ერთად სურათს – ვარჯიშისგან სახეგაბადრულები, ბედნიერები, ახალ-ახალი წარმატებებისკენ გეზაღებულები. წარმატებები, ბიჭებო!

„ვინა, ვინ არის კაი ყმა, ვის ტანზე ხმალი შვენოდეს?“

გარეჯელი „ავღანელი“ პოლკოვნიკი

ბასული საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა ჯარების ავღანეთში ვითომდა სამშვიდობო ოპერაციებში სხვა ქართველ ჯარისკაცებთან ერთად ბევრი საგარეჯოელი მეომარი იღებდა მონაწილეობას, რომელთაც ბრძოლის ველზე კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს ქართველების ძველისძველ მეტოქე ავღანელებს თავიანთი მკლავისა და მხედრული შემართების ძალა. მათ შორის, ვინც ცოცხალი გადაურჩა ავღანეთში წარმოებული ამ მრავალწლიანი ომის ჯოჯოხეთს და თავისი კვალი დატოვა ამ უმაგალითო, მაგრამ საბოლოოდ უაზრო ომში, იყო ჩვენებური უშიშროების კომიტეტის პოლკოვნიკი – **ალექსანდრე სიფროშვილი.**

სანდრო სიფროშვილი, როგორც მას მოფერებით მეგობარ-ახლობლები ეძახდნენ, დაიბადა 1937 წლის 6 აპრილს ქ. სიღნაღში. ბავშვობის წლები თბილისში, მამიდასთან გაატარა. შემდეგ კი მამამისმა,უდაბნოს მეცხვარეობის საცდელ-ექსპერიმენტული მეურნეობის დირექტორმა საგარეჯოში გადმოიყვანა სასწავლებლად. სკოლის წარჩინებულ მოსწავლეს ყველაზე მეტად რუსული ენა, მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა და ხატვა იტაცებდა. იყო კარგი სპორტსმენი, ტანმოვარჯიშე, მოკრივე. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტოსამშენებლო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაასრულა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ განაწილებით მუშაობდა ერთ-ერთ ავტო-სატრანსპორტო კოლონაში ინჟინრად, იქიდან კი ქ. ჩელიაბინსკში გააგზავნეს პრაქტიკის გასავლელად. ჩელიაბინსკში ორი წლის პრაქტიკაგავლილი კი, იმავე ავტოსატრანსპორტო საწარმოს მთავარ ინჟინრად დაინიშნა. ამ სამსახურიდან იგი გადაიყვანეს სახელმწიფო უშიშროების სამსახურში.

სანდრო სიფროშვილი ავღანეთში პირველად 1979 წლის ნოემბერში ჩავიდა. უშიშროების მაიორი მაშინ უკვე კარგად ფლობდა ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენებს. ავღანეთში მისი ეს პირველი “ვიზიტი”უფრო ამ ქვეყნის გაცნობას ჰგავდა, რადგანაც საბრძოლო მოქმედებებში დადამინის მთავრობის დამხობაში მონაწილეობა არ მიუღია. მაშინ იგი ქალაქ გერათში “ხად”-ის ცენტრალური აპარატის უფროსი მრჩეველი იყო მხოლოდ 100 დღის განმავლობაში.

როცა ავღანეთში საბჭოთა მეორმოცე არმიის შეზღუდული კონტიგენტი შევიდა, სანდრო ქაბულში 1980 წლის იანვარში დაბრუნდა, მოგვიანებით, თებერვალში კი კრემლმა ავღანეთიდან უკან გაიხმო.

1985 წლის მარტში უკვე პოლკოვნიკის ჩინით მეორედ დაბრუნდა და იქ სამი წლის მანძილზე საკუთარ თავზე და ტყავზე იწვნია “დანაღმულ უდაბნოში” წარმოებული ამ უსასტიკესი ომის ყველა საშინელება.

თავიდან იგი კაზისას პროვინციის “ხად”-ის სამმართველოს უფროსის მრჩეველი იყო და ამავდროულად მის მოვალეობას შეადგენდა პროვინციის უმთავრეს ქალაქ გულბახორში წარგზავნილი საბჭოთა მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვა, რომელთაც ქალაქში გადაადგილება ბრონეტრასპორტით და დაცვის თანხლებით უხდებოდათ.

ამ პოსტზე დანიშვნის ოთხი თვის თავზე, 2 მაისის ღამის 10 საათზე, გულბახორში ავღანელმა მოჯაჰიდებმა ნაღმსატყორცნების იერიში მიიტანეს საბჭოელების საცხოვრებელ ბინებზე და სერიოზული ზიანიც მიაყენეს. დაიღუპა უშიშროების ორი თანამშრომელი, დაიჭრა რამდენიმე მათგანი, მათ შორის სანდრო სიფროშვილიც, რომელსაც სხეულზე 18 ჭრილობა დაუთვალეს. აქედან, 17 ზურგის და ერთი ყელის არეში ჭურვის პაწაწინა ნამსხვრევი. ავღანეთიდან ქართველი პოლკოვნიკი მოსკოვში გადმოაფრინეს სამკურნალოდ, თუმცა ვერაფრით შეძლეს ყელის არეში ჩარჩენილი ნარჩენის ამოღება, რომელიც საბოლოოდ საბედისწერო გამოდგა მისი სიცოცხლისთვის.

გამოჯანმრთელებული უშიშროების პოლკოვნიკი შვებულებით თბილისში დაბრუნდა. აქ საქართველოს მაშინდელმა უშიშროების მინისტრმა ალექსი ინაურმა საქართველოში დარჩენა და სამსახურის არჩევის უფლება მისცა, მაგრამ სანდრომ ამ წინადადებაზე უარი თქვა და ისევ ავღანეთში დაბრუნდა.

იგი ფარდაკის პროვინციის “ხად”–ს სამმართველოს უფროსის მრჩეველად დაინიშნა. მას ასევე, დაევალა ქვეყნის ჩრდილო ნაწილის გამაკონტროლებელი პენჯაბის ხეობაში მოქმედი მოჯაჰედების ერთ-ერთი უძლიერესი ლიდერის, “პენჯაბელი ლომის” აჰმად შაჰის მასუდის წინააღმდეგ ოპერატიული საბრძოლო ოპერაციების ჩატარება.

აჰმად შაჰ მასუდს, სამხედრო საქმის ბრწყინვალე მცოდნეს თავისი ბანდფორმირებების მეშვეობით საგულდაგულოდ ჰქონდა გადაკეტილი პენჯაბის ხეობა, როგორც იტყვიან მისი ნებართვის გარეშე ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა ამ მიმართულებით და მთელი 10 წლის მანძილზე უმკლავდებოდა მსოფლოში უძლიერეს საბჭოთა არმიას..

1987 წლის თებერვალში “პენჯაბული ლომის” ბანდის გასანადგურებლად საბჭოთა და ავღანეთის უშიშროების (ხად) სამსახურების მიერ დაიგეგმა დიდი ოპერაცია, რომელშიც სანდრო სიფროშვილიც იღებდა მონაწილეობას. მოჯაჰედთა “ჩრდილოეთის ალიანსის” ლიდერის აჰმად შაჰის და მისი ბანდფორმირების ლიკვიდაცია ხაზარის ხეობაში უნდა მომხდარიყო. ოპერაციაში მონაწილეობდა 60 საბჭოთა და 120 ავღანელი კაიონი (ნაჯიბელი არმიის ჯარისკაცი), რომლებიც ხეობაში საბჭოთა “მი-8” ვერტმფრენებით გადაისროლეს. ამ სისხლისმღვრელ, დაუნდობელ ბრძოლაში 30 საბჭოთა 50 “ხად”-ის ჯარისკაცი დაიღუპა, დანარჩენი მეომრები კი აჰმად შაჰის მებრძოლების ალყაში მოექცნენ, რადგან ვერ შეძლეს ავღანელი მოჯაჰედების წინააღმდეგობის დაძლევა.

ხეობაში ალყაში მოქცეულ საბჭოთა და ავღანელ მეომართა გადასარჩენად საბჭოთა და ავღანელ მეომართა კოლონა გაუშვეს, მაგრამ, მან დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია, რადგან შუა გზიდან მოაბრუნეს. ამის მიზეზი ავღანელი თავდაცვის მინისტრის ბრძანება იყო, რომელიც თურმე ფარულად აჰმად შაჰის იდეებს იზიარებდა.

ხაზარის ხეობაში დარჩენილი 30 საბჭოთა მეომრის გამოსაყვანად დაგეგმილ ოპერაციას ქართველი პოდპოლკოვნიკები: სანდრო სიფროშვილი და რეზო ამბროლაძე ხელმძღვანელობდნენ, რომლებმაც წარმატებით გაართვეს თავი ამ ურთულეს დავალებას და როგორც იტყვიან, თანამედროვე ბრძოლის იარაღით კბილებამდე შეიარაღებულ აჰმად შაჰ მასუდის მოჯაჰედებს ხელიდან გამოგლიჯეს დაჭრილ-დასახიჩრებული 30 ახალგაზრდა ჯარისკაცი.

ხაზარის ხეობაში ჩატარებული ამ ბრწყინვალე საბრძოლო ოპერაციისათვის საგარეჯოელი “ჩეკისტი” საბჭოთა კავშირის საბრძოლო “წითელი ვარსკვლავის” და „ავღანეთის ხალხთა მეგობრობის” ორდენებით დააჯილდოვეს, რომელიც სანდრო სიფროშვილს პირადად ავღანეთის პირველმა პირმა ნაჯიბულამ დააბნია მკერდზე. 1987 წლის დეკემბერში კი პოლკოვნიკის ჩინიც უბოძეს.

“უღალატო კაცი, უერთგულესი მეგობარი, შესანიშნავი თანამშრომელი,“ - ასე ახასიათებს თავის წიგნში სანდრო სიფროშვილს უშიშროების სამსახურის ქართველი გენერალი თენგიზ ეპიტაშვილი.

ავღანეთში “სამობლოს” წინაშე პირნათლად მოხდილი “ვალის” შემდეგ ჩვენებური “ჩეკისტი” მარნეულის რაიონის უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელი იყო, ოთხი წლის განმავლობაში. კითხულობდა ლექციებს თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტში.

1989 წელს, როცა საქართველო ეროვნულმა მოძრაობამ მოიცვა და თავისუფლებისათვის ბრძოლამ პიკს მიაღწია, სანდრო სიფროშვილმა დიდი ძალისხმევა, მთელი თავისი ავტორიტეტი და გამოცდილება გამოიყენა, რომ ქვემო ქართლში ქართველებსა და არაქართველ მოსახლეობას შორის უკიდურესად დაძაბულ ვითარებას, შემდგომში გართულება და სისხლისღვრა არ მოჰყოლოდა.

გარეჯელი “ჩეკისტის” თანაკლასელის არსენ გზირიშვილის განცხადებით, გადაწყვეტილი იყო სანდრო სიფროშვილისათვის გენერლის წოდების მინიჭებაც, თუმცა საქართველოს ისტორიაში განვითარებულმა შემდგომი დროის მოვლენებმა, როგორც სხვა ყველაფერი, უკანა რიგზე გადასწია ეს საკითხი და საბოლოოდ ჩაიფერფლა კიდეც.

საბოლოოდ ავღანეთმა მაინც ვერ “აპატია” სანდრო სიფროშვილს. მის სიცოცხლეს წერტილი დაუსვა იმ პაწაწინა ნაღმის ნამსხვრევმა, რომელსაც იგი წლების განმავლობაში ყელის არეში დაატარებდა, თუმცა მას კიდევ დიდხანს შეეძლო სარგებლობის მოტანა ქვეყნის და მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში.

2017 წლის 6 აპრილს სანდრო სიფროშვილი 80 წლის უნდა გამხდარიყო.

გივი დაგახიშვილი

ჩვენს საჯარო სკოლებში

ქალი მანდატური

თამარ შალვაშვილი



როგორც ცნობილია, რამდენიმე წელია ჩვენი მუნიციპალიტეტის დიდკონტიგენტიან რამდენიმე სკოლაში ფუნქციონირება დაიწყო სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მანდატურის სამსახურმა, რომლის რიგებშიც ოთხი ქალბატონიცაა. ერთ-ერთი მათგანია პატარძეულელი თამარ შალვაშვილი, რომელიც ამ საქმეს იორმუღანლოს საჯარო სკოლაში ემსახურება.

მანდატურად მუშაობის დაწყებამდე თამარმა დაამთავრა პატარძეულის გიორგი ლეონიძის სახელობის საჯარო სკოლა. 2004-2008 წლებში სწავლობდა და დაამთავრა ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტი. ერთ წელს ინგლისური ენის პედაგოგად მუშაობდა მშობლიური სოფლის სკოლაში. მერე გულმა მანდატურის სამსახურისკენ გაუწია და სათანადო ტრენინგები და გამოცდებიც ჩააბარა.

სადღეისოდ იორმუღანლოს საჯარო სკოლაში 1300-მდე აზერბაიჯანელი ეროვნების მოსწავლეა, რომელთა უმეტესობა სრულყოფილად ვერ ფლობს ჩვენს სახელმწიფო ენას. აზერბაიჯანულს ვერ ფლობს თამარიც. მიუხედავად ამისა, ენობრივი ბარიერი სრულიადაც არ უშლის ხელს იმაში, რომ პირნათელი გამოვიდეს დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში და ტოლი არაფერში დაუდოს თავის ვაჟ კოლეგებს.

ხსოვნა

გია ქევხიშვილი

ღირსეული და მაღალი ზნეობრივი შეგნების ადამიანის გარდაცვალება, ისეთი ადამიანის, როგორიც გია ქევხიშვილი იყო, უდიდესი ტკივილია მათთვის, ვინც გიას იცნობდა: კარგ მამას, ღირსეულ მეუღლეს, გულთბილ მეგობარს, კეთილ თანასოფლელს, კაცს, რომელიც მუდამ მზად იყო სხვათა დასახმარებლად მაშინაც კი, როცა ეს მის შესაძლებლობებს აღემატებოდა, მაშინაც კი, როცა შეიძლება თვითონაც უარი ეთქვა, მაინც ეძებდა საუკეთესო გამოსავალს და ეხმარებოდა უანგაროდ, ყოველგვარი საზღაურის გარეშე. გია ადამიანში აფასებდა ადამიანს, შეეძლო მდგარიყო ყველაფერზე მაღლა, ერიგებინა თავისი განუმეორებელი თბილი ღიმილი. იგი მთელი თავისი ღირსებით სოფლის ღირსეული შვილი იყო. სოფელიც სიყვარულით გვარით მოიხსენიებდა.

ამიტომ მისმა მოულოდნელმა და ტრაგიკულმა გარდაცვალებამ ყველას გული დასწყვიტა.

გიამ რუსთავის მე-16 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი დაამთავრა ეკონომიკური განხრით. ამის შემდეგ დამკვიდრდა მშობლიურ სოფელ მანავში.

მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე: გარეჯის მეცხოველეობის მეურნეობაში, “საქსოფტექნიკის” სპეც განყოფილებაში, სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში, საგადასახადო ინსპექციაში, საწარმოო კომერციულ ფირმა “ალონი-91”-ში ძირითადი სპეციალობით. ბოლო წლებში კი ჰუმანიტარული მიმართულებით დასაქმებული იყო გარემოს პროგრამა “UNDF”-ში, საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაცია “კაუნთერთფართ”-ში, საერთაშორისო ფონდ “კურაციოში”, “ალდაგი ბისიაი”-ში მენეჯერის და რეგიონული კოორდინატორის თანამდებობებზე. 2010-13 წლებში იყო მენეჯერი შპს “ჯეოჰოსპიტალს-ის” საგარეჯოს მრავალპროფილურ ცენტრში. იყო რეგიონული წარმომადგენელი “ჯიპიაი ჰოლდინგსა” და სადაზღვევო კომპანია “ალდაგში”. იყო პროფესიონალი, ყურადღებიანი, მომთხოვნი და მაღალი პასუხისმგებლობის მუშაკი, მისი თბილი და ყურადღებიანი დამოკიდებულება თვალშისაცემი იყო ყველასთვის.

გია ქევხიშვილის გარდაცვალებით ერთი კეთილშობილი ქართველი გახდა იმქვეყნიური საქართველოს ნაწილი, რომლის ამ ქვეყნად არსებობისთვის ღმერთს მადლობას ვუხდით, რომ ჩვენს გვერდით იყო ასეთი კაცი: თბილი ღიმილითა და თანადგომის დიდი უნარით.

მეგობრები, ოჯახი

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, შპს „კოლორ პრესი“-ში.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

რედაქტორი:
თინათინ ილაური

გარეჯის მაცნე